



N 15-3/11163  
07/11/2022

11163-15-3-2-202211071608



საქართველოს გენერალურ პროკურორს  
ბატონ ირაკლი შოთაძეს

### რეკომენდაცია

მოქალაქე [REDACTED] ავტომანქანის დაზრუნების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე [REDACTED] საქმე, რომლის თანახმად, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, [REDACTED] ჩამოართვეს კუთვნილი ავტომანქანა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლით ძებნილი. მოცემული საქმის შესწავლის შედეგად, [REDACTED] საკუთრების უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვის ფაქტი გამოიკვეთა.

### ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის აპარატს არაერთხელ მიმართა [REDACTED] ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, [REDACTED]. ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის იანვარში, საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს [REDACTED] კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით [REDACTED], როგორც თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის მიერ ძებნილი. [REDACTED] მტკიცებით, [REDACTED]

წარმოდგენს ხსენებული ავტომანქანის კეთილსინდისიერ შემძენს და უსაფუძვლოდ ილახება მისი კანონიერი ინტერესები.

სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე გამოითხოვა სისხლის სამართლის № 079121217002 საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის № 079121217002 საქმე, [REDACTED] მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.<sup>1</sup>

თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლს გაეგზავნა არაერთი მიმართვა სადაზღვევო კომპანიისათვის ავტომანქანის დაბრუნების შეთავაზების შესახებ. თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ავტომანქანის მესაკუთრე სადაზღვევო კომპანია ინფორმირებულია ძებნილი ავტომანქანის აღმოჩენის შესახებ. დამატებით, თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლს მიემართა სადაზღვევო კომპანიისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით განსაზღვრული რეგულაციის განმარტების შესახებ, თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი მიღებული არ არის.<sup>2</sup>

მოცემულ საქმეზე დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გამოძიებისთვის ცნობილია, რომ ძებნილი ავტომანქანის მფლობელი და ძებნის ინიციატორია სადაზღვევო კომპანია [REDACTED] 2020 წლის 21 ივლისის ინტერპოლის პასუხის დანართიდან ირკვევა, რომ ავტომანქანის დაბრუნების პროცესში სადაზღვევო კომპანია [REDACTED] წარმომადგენელი იქნება ვინმე [REDACTED], თუმცა დღემდე მისი სრულყოფილი მონაცემები გამოძიებისთვის არავის წარმოდგენია და საგამოძიებო ორგანოში მანქანის დაბრუნების მიზნით, არც [REDACTED] გამოცხადებულა. მიუხედავად საგამოძიებო ორგანოს არაერთი წერილისა და მოთხოვნისა, თუ როდის ეცნობა სადაზღვევო კომპანია [REDACTED] ავტომანქანის აღმოჩენის ფაქტი და როდის განემარტა საქართველოს სსსკ-ის 80-ე მუხლის მოთხოვნები, გამოძიებისთვის კონკრეტული თარიღი დღემდე უცნობია.<sup>3</sup>

საქმეზე უკანასკნელად მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ავტომანქანის ძებნის ინიციატორი სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია კვლავ არ არის გამოძიებისთვის მიწოდებული.<sup>4</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული საქმის შესწავლის პროცესში, აპარატი შეეცადა აღნიშნული გარემოებების დადგენას, კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა თურქეთის რესპუბლიკის ომბუდსმენს და სთხოვა,

<sup>1</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 8 ნოემბრის №13/85185 წერილი.

<sup>2</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 31 მაისის №13/31462 წერილი.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 6 ივლისის MIA 3 21 01747286 წერილი.

<sup>4</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 1 სექტემბრის MIA 7 22 02443122 წერილი.

შესაძლებლობის შესაბამისად, საქმესთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაციის მოძიება, კერძოდ, როდის მიეწოდა ავტომანქანის მესაკუთრე სადაზღვევო კომპანიას საქართველოს საგამოძიებო უწყების განმარტებები აღმოჩენილი ავტომანქანის მესაკუთრისთვის დაბრუნების ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესახებ.<sup>5</sup> სამწუხაროდ, ვერც ამ გზით გახდა შესაძლებელი ზუსტი დროის დადგენა. დადასტურდა მხოლოდ ის გარემოება, რომ მითითებულ კომპანიასთან კომუნიკაცია საქართველოს საგამოძიებო უწყების მხრიდან ნამდვილად შედგა, ჯერ კიდევ 2019 წელს და კომპანია ინფორმირებულია ავტომანქანის აღმოჩენის შესახებ. ამავ ინფორმაციის თანახმად, ავტომანქანის მეპატრონე არის კომპანია [REDACTED] [REDACTED] თუმცა, კომპანიების შერწყმის შედეგად, მისი დასახელება შეიცვალა და ამჟამად მისი სახელწოდებაა [REDACTED].<sup>6</sup>

### სამართლებრივი დასაბუთება

საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.<sup>7</sup>

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.<sup>8</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მესაკუთრის/მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებს მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს, თუ ეს პირი ცნობილია, დაიბრუნოს კუთვნილი საგანი. საქმის მწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება საგნის მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს მისი ვინაობის დადგენისთანავე უნდა გაუგზავნოს. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე საგნის მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ხელმოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისად ოჯახის წევრის ან/და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე/კანონიერი მფლობელი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას.<sup>9</sup>

<sup>5</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბრის N 15-3/12173 წერილი.

<sup>6</sup> თურქეთის რესპუბლიკის ომბუდსმენის 2022 წლის 20 ივლისის წერილი.

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქ. 1 და 2.

<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N1, მუხ. 1.

<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80, ნაწ. 2.

ამავე კოდექსის თანახმად, თუ მესაკუთრემ/კანონიერმა მფლობელმა ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში არ დაიბრუნა სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ვინაობა ან იმავე ვადაში ვერ ჩაჰბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება პროკურორის დადგენილებით უბრუნდება პირს, რომელმაც ის შეიძინა და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ (კეთილსინდისიერი შემძენი).<sup>10</sup>

კოდექსის თანახმად, ამ მუხლის შესაბამისად ნივთიერი მტკიცებულების ბედის გადაწყვეტა დაინტერესებულ პირს არ ართმევს უფლებას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იდავოს საგნის კუთვნილების თაობაზე.<sup>11</sup>

### წინამდებარე საქმის მიმოხილვა

ამდენად, როგორც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ მიღებული ინფორმაციით ირკვევა, საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს დაახლოებით 4 წლის განმავლობაში. ჩამორთმეული ავტომანქანის თავდაპირველი მესაკუთრე სადაზღვევო კომპანია ინფორმირებულია საქართველოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კუთვნილი ავტომანქანის აღმოჩენის შესახებ. საგამომიებო ორგანოს მიერ არაერთხელ მიეწოდა თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის განყოფილებას ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ავტომანქანის მესაკუთრე კომპანიისა და მისი წარმომადგენლის მხრიდან, ავტომანქანის დაბრუნების მიზნით დღემდე არანაირი მოქმედება არ განხორციელებულა.

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ საგამომიებო უწყებამ ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ ხსენებულ სადაზღვევო კომპანიას ჰქონოდა კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნების შესაძლებლობა. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ მესაკუთრე ინფორმირებულია ავტომანქანის აღმოჩენის შესახებ. უცნობია მხოლოდ ის, თუ როდის მიეწოდა მესაკუთრეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესახებ ინფორმაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გამოძიება მიმდინარეობს დოკუმენტების შესაძლო გაყალბების ფაქტზე, თუმცა, დღემდე ბრალდებულად ცნობილი არავინ არ არის. გამოძიებას არ მოუპოვებია მტკიცებულება იმისა, რომ [REDACTED] გააყალბა დოკუმენტაცია ავტომანქანის შეძენის მიზნით ან შეძენის მომენტისთვის მან იცოდა ასეთის შესახებ. შესაბამისად, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, [REDACTED] მიერ მოცემული ავტომანქანის დანაშაულებრივი გზით შეძენის ან მისთვის ასეთის ცოდნის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, მას წარედგინებოდა ბრალდება

<sup>10</sup> იქვე, მუხ. 80, ნაწ. 4.

<sup>11</sup> იქვე, მუხ. 80, ნაწ. 7.

შესაბამისი დანაშაულის ჩადენაში.<sup>12</sup> ამდენად, [REDACTED] ავტომანქანის კეთილსინდისიერ შემძენად უნდა ჩაითვალოს.

ამ მოცემულობას ამყარებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების შემძენმა შეძენის მომენტში იცოდა ამ სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევის შესახებ. ამ შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების შემძენის არაკეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი პროკურორს ეკისრება.<sup>13</sup>

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, პროკურატურას სასამართლოსთვის მსგავსი შუამდგომლობით არ მიუმართავს, რადგან [REDACTED] არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა, მსგავს შემთხვევებში, ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ვინაობა ან იმავე ვადაში ვერ ჩაბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება უნდა დაუბრუნდეს მის კეთილსინდისიერ შემძენს.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები სავსებით აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ წინაპირობებს, რა შემთხვევაშიც უნდა დაუბრუნდეს სატრანსპორტო საშუალება მის კეთილსინდისიერ შემძენს. უფრო მეტიც - ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უსაფუძვლოდ უზღუდავს საკუთრების უფლებას სამად მუტაიევს და აყენებს მას მატერიალურ ზარალს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ხსენებული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ავტომანქანის თავდაპირველ მესაკუთრეს - ზემოხსენებულ სადაზღვევო კომპანიას, როგორც შესაძლო დაინტერესებულ პირს, არ ართმევს იმის უფლებას, რომ ავტომანქანის კუთვნილების თაობაზე იდავოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

## დასკვნა

ამრიგად, სისხლის სამართლის № 079121217002 საქმეზე, საგამომიებო უწყებამ ამოწურა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალება მესაკუთრის ინფორმირებისა და მისთვის ავტომანქანის დაბრუნების მიზნით. შესაბამისად, მოცემულ საქმეში სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ ავტომანქანა დაუბრუნდეს მის

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 186, ნაწ. 2, ქ/პუნქტი „გ“ და მუხლი 362.

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80, ნაწ. 5.

კეთილსინდისიერ შემძენს - [REDACTED]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, მოქალაქე [REDACTED] დაუბრუნდეს მისი კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი“, სანომრე ნიშნით [REDACTED] და საიდენტიფიკაციო ნომრით [REDACTED].

რეკომენდაციის განხილვის შედეგების, გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5- [Handwritten Signature]

სახალხო დამცველი

